ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №679569

ნომერი: AR1126100

თარიღი : 19.04.2013

გაცემის თარიღი : 10.05.2013

გაცნობის თარიღი : 10.05.2013

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ანა კალანდაძე , N 4 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნანა სეფაშვილი პ/ნ 01013002329
- თბილისი საირმის ქ. 1 კორპ.ბინა 9

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება

ვბრძანებ

04/19/2013 წ. AR1126100 განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 04/19/2013 წელს AR1126100

განცხადებით მომართა ნანა სეფაშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 05/13/2010 წლის 01/930 ბრძანების ძალაში შესვლის დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადება.
სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 15.01.2007 წელს ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ ქალაქ თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ი.მ.ა „ბულაჩაური 2005“-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე №20/15 ბრძანებით შეთანხმდა არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. არქიტექტურული პროექტის შეთანხმება მოხდა 2006 წლის 07 სექტემბრის №კოლ-70 ქალაქთმშენებლობითი პირობების საფუძველზე. 04.09.09 წლის №01/1276 ბრძანებით ბულაჩაურის ქუჩა №8-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად შეთანხმდაკორექტირებული არქიტექტურული პროექტი. ამავე ბრძანების მე-3 პუქნტით დაევალა დამკვეთს მშენებლობის ნებართვის სტადიაზე ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობის წევრთა თანხმობის წარმოდგენა.
21.09.09 წ. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ №ნ/1389 ბრძანებით ქალაქ თბილისში, ბულაჩაურის ქუჩა №8-ში გაცემულ იქნა მშენებლობის ნებართვა კორექტირებული პროექტის საფუძველზე, ბრძანების მე-4 პუნქტით განმეორებით დაევალა დამკვეთს ბინათმენაშენეთა ამხანაგობის ერთხმად მიღებული გადაწყვეტილების ამსახველი კრების ოქმის წარმოდგენა.
2010 წლის 13 მაისს სამსახურის №01/930 ბრძანებით შევიდა ცვლილება ზემოაღნიშნული აქტით შეთანხმებულ არქიტექტურული პროექტში და გაიცა მშენებლობის ნებართვა. აღნიშნული კორექტირება გულისხმობდა ქ. თბილისის მერის 15.02.10წ. №453 განკარგულების საფუძველზე სამშენებლო ობიექტისათვის მომატებული კოეფიციენტის კ2=6.2 გათვალისწინებით ერთი სართულის დამატებას. ვინაიდან, ი.მ.ა „ბულჩაური 2005“-სა და მის ერთ-ერთ წევრს – ნანა სეფაშვილს შორის მიმდინარეობდა დავა პროექტის კორექტირებებთან დაკავშირებით სამსახურმა დამკვეთს დაავალა 2011 წლის პირველ იანვრამდე მენაშენეთა ამახანაგობის წევრების ერთხმად მიღებული გადაწყვეტილების ამსახველი კრების ოქმის წარმოდგენა. დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა 2010 წლის 31 დეკემბრის №6423 ბრძანებით გაგრძელებულ იქნა 2011 წლის 20 დეკემბრამდე.
მოგვიანებით დამკვეთმა სამსახურში წარმოადგინა ბინათმენაშენეთა ამხანაგობის 2006 წლის 22 მაისის ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულება. ამავე ხელშეკრულების 6.3 პუნქტის თანახმად, დადგინდა, რომ დამფუძნებელ წევრთა კრებაზე გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა 4/5 თანხმობა. სამსახურში წარმოდგენილი იქნა ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „ბულაჩაური 2005“-ის 2009 წლის კრების ოქმი, რომლითაც ამხანაგობის დამფუძნებელი წევრები თანხმობას იძლევიან კორექტირებული არქიტექტურული პროექტის ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურში წარსადგენად. თუმცა, ზემოაღნიშნულ დამფუძნებელთა კრებას არ ესწრებოდა ნანა სეფაშვილი. 2011 წლის 10 თებერვლის №433 ბრძანებით სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილება შეეტანა 2010 წლის 13 მაისს სამსახურის №01/930 ბრძანების მე-4 პუნქტში და დაავალა დამკვეთს ნაცვლად ერთხმად მიღებული ამხანაგობის კრების ოქმისა, დამფუძნებელ წევრთა 4/5-ის თანხმობის ამსახველი კრების ოქმის და ნანა სეფაშვილის თანხმობის წარმოდგენა 2011 წლის 20 დეკემბრამდე.
16.05.11 წელს კვლავ განხორციელდა ქალაქ თბილისში, ვაკე–საბურთალოს რაიონში, ბულაჩაურის ქუჩა #8–ში მრავალფუნქციური არქიტექტურული პროექტის კორექტირება და 16.05.11 წლის #01/1013 ბრძანების საფუძველზე გაიცა მშენებლობის ნებართვა. დღეისათვის მშენებლობის ნებართვა ვადის გასვლის გამო ძალადაკარგულია, ხოლო საპროექტო ობიექტი მიღებულია ექსპლუატაციაში. ზემოაღნიშნული ბრძანების მე–4 პუნქტით შესრულებულად ჩაითვალა 13.05.10 წლის #01/930 და 31.12.10 წლის #6423 ბრძანებით დადგენილი პირობები ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა თანხმობების წარმოდგენის შესახებ. ხოლო ამავე ბრძანების სამოტივაციო ნაწილში განმარტებულ იქან, რომ თვითონ ნანა სეფაშვილი 12.04.11 წლის 08–2011 ოქმის საფუძველზე აღარ წარმოადგენს ბინათმენაშნეთა ამხანაგობის დამფუძნებელ წევრს და აღარ არსებობს მისი თანხმობის მოთხოვნის ვალდებულება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლის დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადების სამართლებრივი საფუძველია, დაინტერესებულმა მხარის მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ვალდებულებულების შეუსრულებლობა. 01/930 ბრძანებით დადგენილი პირობა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თანხმების წარმოდგენის შესახებ შესრულებულად ჩაითვალა 16.05.11 წლის #01/1013 ბრძანებით ანუ დამკვეთმა დადგენილ ვადაში შეასრულა მასზე დაკისრებული ვალდებულება. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურში AR1126100 განცხადებით წარმოდგენილ საკითხებზე, სამსახურმა ერთხელ უკვე იმსჯელე და ბრძანებით მოთხოვნათა უსაფუძვლობის გამო, უარი უთხრა განმცხადებელს – ნანა სეფაშვილს 01/950 ბრძანების ძალაში შესვლის დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.
ვინაიდან, განმცხადებლის მიერ არ იქნა წარმოდგენილი ისეთი ფაქტობრივი ან/და სამართლებრივი

გარემოებები, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა 2010 წლის 13 მაისის #01/930 ბრძანების ძალაში შესვლის დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახური ვერ დააკმაყოფილებს ნანა სეფაშვილის 04/19/2013 წ. AR1126100 განცხადებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე, მე–100 მე–4 და მე–6 თავების თანახმად,

ვბრძანებ:

1. უარი ეთქვას ნანა სეფაშვილს 04/19/2013 წ. AR1126100 განცხადების დაკმაყოფილებაზე;
2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისი მერიაში (მის :შარტავას ქუჩა #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.